2-5701/20
01-06-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

როგორც თქვენთვის ცნობილია, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია: ა) საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N07-3/420; 28.11.2019); ბ) საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N07-3/156; 19.04.2018); გ) საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-2/303; 31.12.2018) და ალტერნატიული კანონპროექტი (N07-3/324; 11.04.2019).

აღნიშნულ კანონპროექტებზე წამყვან კომიტეტად განსაზღვრულია იურიდიულ საკითხთა კომიტეტი. ვინაიდან ბოლო დროს ქვეყანაში გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა, ხოლო პანდემიით შექმნილი ვითარება ამჟამადაც გარკვეულწილად შემაფერხებელი გარემოებაა საკითხების საკომიტეტო განხილვის კუთხით, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ვადების დაცვისა და აღნიშნული საკითხების სრულყოფილად მომზადების მიზნით, N07-3/420 კანონპროექტის საკომიტეტო განხილვის ვადა გაგრძელდეს 2 თვით, ხოლო ზემოხსენებული სხვა საკითხების საკომიტეტო განხილვის ვადები – 3 თვით.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი